ეროვნული ბიბლიოთეკა

# მეგობრობისა და ძმობის ვიზიტი



პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 22 (5052)

1974 წ. 31 იანვარი, ხუთშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

[illegible]

## ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი კუბის რესპუბლიკაში

28 იანვარს საზეიმოდ იყო მორთული რევოლუციური კუბის დედაქალაქი ჰავანა: ფრიალებდა სსრ კავშირისა და კუბის რესპუბლიკის სახელმწიფო ალმები, მოჰქონდათ ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის პორტრეტები, ტრანსპარანტები, რომელზეც წარწერილი იყო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და კუბის კომუნისტური პარტიის სადიდებელი სიტყვები. ჰავანა გულთბილად შეეგება სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ამხ. ლ. ი. ბრეჟნევს, რომელიც აქ ოფიციალურ მეგობრულ ვიზიტად ჩამოვიდა. რევოლუციური კუბის დედაქალაქის მცხოვრებნი, ქვეყნის ყველა პროვინციის პარტიული ორგანიზაციებისა და მშრომელთა ორგანიზაციების წარმომადგენლები გამოვიდნენ ქალაქის ქუჩებში და მოედნებზე, რათა მხურვალედ მისალმებოდნენ ძვირფას სტუმარს.

ჰავანის დროით 15 საათსა და 15 წუთზე სპეციალური საბჭოთა ლაინერი დაჯდა სსრ კავშირისა და კუბის რესპუბლიკის სახელმწიფო ალმებით მორთულ „ხოსე მარტის" აეროპორტში. თვითმფრინავის კიბესთან ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს ძმურად, გულთბილად და გულითადად მიესალმნენ ამხანაგები ფიდელ კასტრო რუსი, კუბის რესპუბლიკის პრეზიდენტი ოსვალდო დორტიკოს ტორადო და თავისუფლების კუნძულის სხვა ოფიციალური პირები. შემხვედრთა შორის იყვნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის ელჩი კუბის რესპუბლიკაში ნ. პ. ტოლუბეევი, საბჭოთა საელჩოს და სავაჭრო წარმომადგენლობის, კუბაში სხვა საბჭოთა დაწესებულებების თანამშრომლები. ამხანაგებმა ლ. ი. ბრეჟნევმა და ფიდელ კასტრო რუსმა ჩამოუარეს კუბის სამი გვარეობის რევოლუციური შეიარაღებული ძალების საპატიო ყარაულს და გაემართნენ შემხვედრებისკენ. შემდეგ ამხანაგები ლ. ი. ბრეჟნევი და ფიდელ კასტრო რუსი ჩასხდნენ მანქანაში, გაემართნენ ქალაქისკენ. მთელ 40-კილომეტრიან გზაზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს მხურვალედ მიესალმებოდნენ რევოლუციური კუბის დედაქალაქის მშრომელები.

* * *

ჰავანაში ჩასვლის შემდეგ შედგა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის მეგობრული, გულითადი საუბარი კუბის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელებთან.

საუბარში მონაწილეობდნენ: ამხანაგები ფიდელ კასტრო, რაულ კასტრო, ოსვალდო დორტიკოსი, კუბის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს და სამდივნოს სხვა წევრები.

საბჭოთა კავშირის მხრივ საუბარში მონაწილეობდნენ: ა. ა. გრომიკო, ვ. ვ. შჩერბიცკი, გ. ვ. რომანოვი, კ. თ. კატუშევი, ბ. პ. ბუგაევი, ი. ვ. არხიპოვი, სსრ კავშირის ელჩი კუბის რესპუბლიკაში ნ. პ. ტოლუბეევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის თანაშემწეები — ა. მ. რუსაკოვი, ა. მ. ალექსანდროვი, ა. ი. ბლატოვი.

* * *

ს უ რ ა თ ზ ე: შეხვედრა „ხოსე მარტის" აეროპორტში.

## ამიერკავკასიის გუნდი — ჩემპიონი

როსტოვი, 30 იანვარი. გუშინ აქ დამთავრდა შეიარაღებულ ძალთა საკავშირო პირადგუნდური ჩემპიონატი სამბოში. ტურნირში წარმატებით იასპარეზეს ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის სპორტსმენებმა (მწვრთნელი ს. ჩიტაშვილი). მათ გუნდური I ადგილი დაიკავეს.

## თბილისელთა ორმაგი წარმატება

ბათუმში, „განთიადის" სპორტდარბაზში ჩატარდა საქართველოს თასის გათამაშება მაგიდის ჩოგბურთში. შეჯიბრებაში მონაწილეობდა ქალთა 5 და ვაჟთა 7 გუნდი. ტურნირი ამავე დროს შესარჩევიც იყო, ვინაიდან ორორ უძლიერესს საკავშირო თასის გათამაშებაში მონაწილეობის უფლება ეძლეოდა.

ძალიან დაძაბული გამოდგა ბათუმის ბავშვთა სპორტული სკოლისა და ცხინვალის „განთიადის" წარმომადგენელთა შეხვედრები. საკმარისია ითქვას, რომ გამარჯვებული მხოლოდ უკანასკნელმა შეხვედრამ გამოავლინა: ცხინვალელმა ე. ქელეხსაევამ ე. გუგუშვილთან მესამე, გადამწყვეტ პარტიაში, როცა ანგარიში იყო 20:18 მეტოქის სასარგებლოდ, დიდი ბრძოლისუნარიანობა გამოავლინა და გაიმარჯვა — 23:21. ამით მან თავის გუნდს ფინალისა და საკავშირო თასის საგზურები მოუტანა. ეს ცხინვალის „განთიადის" (ლ. ოსტაევა, ც. კოკოევა, ე. ქელეხსაევა) და მისი მწვრთნელის (ვ. ჯიოევის) დიდი წარმატებაა.

როგორც მოსალოდნელი იყო, სამხრეთ ოსეთის წარმომადგენლებმა ფინალში სერიოზული წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს თბილისის „სპარტაკს" და დამარცხდნენ — 0:9.

ასეთივე შედეგით დასრულდა ვაჟთა ფინალური მატჩი, რომელშიც თბილისის „სპარტაკმა" ყოველმხრივ დაჯაბნა ბათუმის ბავშვთა სპორტული სკოლის გუნდი.

ამრიგად, ორივე თასი მოიპოვეს თბილისელმა სპარტაკელებმა, რომლებიც ასეთი შემადგენლობით გამოდიოდნენ: მ. პაპუკაშვილი, ა. სუჯაშვილი, ს. გვილავა, ჯ. მელაძე, ა. გიკაშვილი და ა. არუთინოვი. გუნდის მწვრთნელია რ. გალუსტოვი.

საყოველთაო მოწონება დაიმსახურა ბათუმის მე-9 საშუალო სკოლის მესამეკლასელმა, 9 წლის ე. ურუშაძემ (მწვრთნელი — საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი კ. გუგუშვილი), რომელიც შეუპოვარ წინააღმდეგობას უწევდა მასზე გაცილებით უფროს მეტოქეებს და ერთი შეხვედრის მოგებაც კი შეძლო.

და ბოლოს, ორიოდე სიტყვა ტურნირის ორგანიზაციაზე. ასპარეზობა ჩატარდა დარბაზში, რომელიც აშკარად შეუფერებელია ასეთი მასშტაბის შეჯიბრებისთვის. ერთი ციცქნა ოთახში მაყურებლები კი არა, მონაწილენიც ძლივს ეტეოდნენ.

გ. ახალაძე,
შეჯიბრების მსაჯი.

ბათუმი.

## ახალი ამბები —74

● არხანგელსკი, 29 იანვარი. შვეციის ნაკრების გამარჯვებით დამთავრდა გაზეთ „სოვეტსკაია როსიას" თასზე აქ გამართული საერთაშორისო შეჯიბრება ბურთიან ჰოკეიში. გადამწყვეტ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ შვედი და საბჭოთა ჰოკეისტები. გაიმარჯვეს სტუმრებმა — 4:1 (1:0) და მთავარი ჯილდო მოიპოვეს.

● მოსკოვი, 29 იანვარი. ძმები ზნამენსკების სახელობის დახურულ მანეჟში დამთავრდა „დინამოს" ღია ჩემპიონატი მძლეოსნობაში, რომელშიც მასპინძლებთან ერთად ბულგარეთის, პოლონეთისა და უნგრეთის წარმომადგენლებიც გამოდიოდნენ. თარჯრბენში სსრ კავშირის ჩემპიონ ა. მოშიაშვილისა და ამ სახეობაში საკავშირო რეკორდსმენ ვ. მიასნიკოვის ორთაბრძოლა 60 მეტრზე ამ უკანასკნელის გამარჯვებით დამთავრდა — 7,7. 1500 მეტრზე რბენაში უძლიერესი იყო ლ. ბრაგინა — 4.25,2.

● პამპოროვო, 29 იანვარი. ბულგარეთის ამ ქალაქის მახლობლად გამართულ მოთხილამურეთა ტრადიციულ საერთაშორისო ასპარეზობაში 5-კილომეტრიანი დისტანცია ყველაზე სწრაფად გაიარა 22 წლის საბჭოთა სპორტსმენმა ნ. პარამონოვამ — 18.50,0.

● ზაკოპანე, 29 იანვარი. მოთხილამურეთა ფალუნის მსოფლიო ჩემპიონატის წინ აქ მოეწყო პოლონელ „მფრინავ მოთხილამურეთა" გენერალური რეპეტიცია. ყველას აჯობა საპოროს ოლიმპიადის ჩემპიონმა ვ. ფორტუნამ, რომელიც 105 და 109 მეტრზე გადახტა.

## პრეტენდენტთა მატჩები

### სპასკი ნახევარფინალში გავიდა

სან-ხუანი (პუერტო-რიკო). სპასკი — ბირნის მატჩის VI პარტია, როგორც ცნობილია, საბჭოთა დიდოსტატისთვის მოსაგებ მდგომარეობაში იყო გადადებული. თამაშის განახლებისას მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა ზედმეტი პაიკის გამოყენებისთვის იზრუნა. პატარა კომბინაციის განხორციელებით მან დააჩქარა გამარჯვება. 57-ე სვლაზე ბირნმა თავი დამარცხებულად ცნო.

ამრიგად, სპასკიმ მესამე პარტია მოიგო. მსოფლიო პირველობის მეოთხედფინალური მატჩების დებულებით, ეს საკმარია ორთაბრძოლაში გამარჯვებისთვის. 3:0 — ასე დამთავრდა სპასკი — ბირნის მატჩი. დანარჩენი პარტიები აღარ გათამაშდება.

ნახევარფინალურ მატჩში სპასკი შეხვდება კარპოვ — პოლუგაევსკის პაექრობაში გამარჯვებულს. სხვათა შორის, ამ მატჩში ბრძოლა ოთხ მოგებამდე გაგრძელდება, ოღონდ 20 პარტია გათამაშდება.

### პეტროსიანი — პორტიში 1:0

პალმა-დე-მალიორკა (ესპანეთი). პეტროსიან—პორტიშის მატჩში, რომელიც „აუდიტორიუმის" ერთ-ერთ საკონცერტო დარბაზში ტარდება, გუშინწინ VI პარტია შედგა. თეთრებით პორტიში თამაშობდა (პეტროსიანი ყველა კენტ პარტიაში შავებით თამაშობს). არც თუ ხანგრძლივი ბრძოლა ყაიმით დამთავრდა. ეს ამ მატჩში მეხუთე ყაიმია.

გთავაზობთ ორთაბრძოლის განრიგს: პარტიების სათამაშო დღეები — პარასკევი, კვირა, სამშაბათი, გადადებული პარტიების დამთავრებისა — შაბათი, ორშაბათი, ოთხშაბათი. ხუთშაბათი დასვენების დღეა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გამოყენებული უფლება და დავიწყებული მოვალეობა,

## ანუ როგორ წაართვეს სოფელ მონასტერში ფეხბურთის მინდორი ბავშვებს

ფეხბურთის დიდი პოპულარობა დღეს უკვე ალარავისთვისაა საეჭვო და სადავო. ალარც ისაა გასაკვირი, რომ ბავშვების უმრავლესობა სპორტთან მეგობრობას სწორედ ფეხბურთით იწყებს. ჩვენც, ცხადია, მათ გატაცებას თავიდანვე უნდა შევუწყოთ ხელი. ამიტომაც არ შეიძლება უყურადღებოდ დარჩეს რედაქციაში შემოსული წერილები, არ შეიძლება საქმეს ძირამდე არ ჩასდიო, როცა განაწყენებული მოზარდები სამართლიანობას მოითხოვენ.

„სოფელში ერთ პატარა მინდორზე ფეხბურთს ვთამაშობდით ხოლმე. მეურნეობამ შარშან ეს ადგილი გადახნა. როცა სამაგიერო მინდორი მოვითხოვეთ, გვიპასუხეს, სადაც გინდათ, იქ გვიჩივლეთო“. — გვწერდა 16 ახალგაზრდა ქვიშხეთის მერძევეობა-მეზოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის პატარა სოფელ მონასტრიდან.

ქვიშხეთი ხავსეა ყველა სიკეთით, რითაც კი თანამედროვე სოფელს შეუძლია იამაყოს. აქვთ კეთილმოწყობილი სტადიონიც: მაგრამ ქვიშხეთის მეურნეობა 20 სოფელს აერთიანებს და, ცხადია, ეს ერთი სპორტული ბაზა ყველას ვერ გასწვდება. მაგრამ რა უდგას წინ სოფლებში მარტივი ტიპის სპორტული მოედნების მოწყობას? მით უმეტეს, რომ ამ მოედნებს არც დიდი თანხა სჭირდება და არც სამშენებლო მასალა. მთაგორიანი სოფელი მონასტერი 3-4 კილომეტრითაა ცენტრს დაშორებული. პატარა მინდორი, სადაც ბავშვები ბურთს დასდევდნენ, მარტო „სტადიონი“ კი არა, შეიძლება ითქვას, სულიერი საზრდოც იყო მათთვის. და, როცა ბავშვებს ერთ მშვენიერ დღეს ეს მინდორი გადახნული დაუხვდათ, მოწიფული ბიჭები ძლივს ამშვიდებდნენ თურმე ტირილისგან გულამომჯდარ პატარებს. ასე დაივიწყეს „დიდებმა“ დიდი მოვალეობა, დაივიწყეს, რომ უფროსები უმცროსებს მხოლოდ სიკეთისა და გონივრული ქცევის მაგალითს უნდა უჩვენებდნენ.

პატივცემულო შალვა ლომსაძე! ჩვენ ვიცით, რა გულისწყრომით წაიკითხავთ ამ სტრიქონებს, მაგრამ, მოდით, გულდამშვიდებით განვსაჯოთ ის, რასაც თქვენ ამ წუთში ფიქრობთ და რითაც სხვებთან ერთად აპირებთ თავის გამართლებას. არა, განმარტებითი ბარათი, რომელიც მომჩივანთან მართალი კაცის სახით ჩაგვაბარეთ, გვერდზე არ გადაგვიდევს. მაგრამ თქვენი გულგრილობა ამ ბარათში უფრო ჩანს. მოდით, ერთხელ კიდევ ჩავიკითხოთ ეს სტრიქონები (თქვენი სტილი დაცულია): „გაგიმარტავთ, რომ განცხადებაში სტადიონად წოდებული ნაკვეთი არ ყოფილა ოფიციალური დოკუმენტებით გამოყოფილი სტადიონად, ხოლო რაც შეეხება, რომ ისინი იყენებდნენ საბურთაო მოედნად, ამის საშუალებას ის აძლევდათ, რომ 1973 წლის შემოდგომამდე თესლბრუნვით იყო სათიბსაძოვრად, ხოლო 1973 წლის შემოდგომით, ითვალისწინებს ერთწლიანი კულტურის თესვას, რისთვისაც აღნიშნული ნაკვეთი მოიხნა და დაითესა ხორბალი“.

კეთილი და პატიოსანი. თქვენ, როგორც აგრონომიული უბნის უფროსმა, გამოიყენეთ თქვენი უფლება, მაგრამ მოვალეობა რატომ დაივიწყეთ? განა თქვენ კი არ გევალებათ ბავშვების ფიზიკური განვითარებისა და სიჯანსაღისთვის ზრუნვა? როცა ბავშვებს მინდორი გადაუხნეს, რატომ არ მიხედეთ მათ? მიაკითხეთ ვინმეს? ითხოვეთ დახმარება ბავშვების სახელით და უარით გამოგისტუმრეს? არა, ასეთი რამ არ მომხდარა. მაშ, რატომ ცოტა წინ არ იხედებით? რატომ უნდა ინანონ მოწიფულობაში დღევანდელმა პატარა ბიჭებმა, რომ თავის დროზე მათთვის სპორტი აკრძალული ხილი იყო?

თქვენ, პატივცემულო შალვა, ისიც გვითხარით, ამ სოფელს ბარში ვუპირებთ ჩამოსახლებასო. ღმერთმა ხელი მოგიმართოთ, მაგრამ რამდენადაც გავარკვიეთ, ეს ჭერ კიდევ მომავლის საქმე ყოფილა. ბავშვებმა რა ქნან მანამდე — დღეს, ხვალ, ზეგ?

**თ. გაჩეჩილაძე,**
(ჩვენი სპეც. კორ.).

ქვიშხეთი,
ხაშურის რაიონი.

# ქარში და სასარგებლო ტურნირი

ამ დღეებში თბილისში დამთავრდა საქართველოს ჭაბუკთა (1957-59 წლებში დაბადებულნი) პირად-გუნდური პირველობა კლასიკურ ჭიდაობაში. ასპარეზობაში მონაწილეობდნენ: თბილისის, ქუთაისის, სოხუმის, ბათუმის, რუსთავის, ჭიათურის, მახარაძის, სამტრედიის, ხაშურის, თერჯოლისა და ცხაკაიას ნაკრები კოლექტივები, სულ 170-მდე ჭაბუკი სპორტსმენი.

წინასწარ უნდა ვთქვათ, რომ ასეთი მომზადებული მოჭიდავეები დიდი ხანია სარბიელზე არ გვინახავს. მისასალმებელია ის კურსი, რომელიც ახლა ქალაქებისა და რაიონების მწვრთნელთა მუშაობაში შეიმჩნევა. აღმზრდელები არ კმაყოფილდებიან თითო-ოროლა ნიჭიერი სპორტსმენის მომზადებით. ისინი მთელი მონდომებით მუშაობენ ბავშვებთან და, ცხადია, შედეგსაც აღწევენ.

ფალავანთა კლუბში, სადაც ეს საინტერესო ტურნირი მოეწყო, ყოველდღე ვარჯიშობდნენ საქართველოს ნაკრების წევრები. რაიონების მოჭიდავეებს საშუალება ჰქონდათ საკუთარი თვალით ენახათ, თუ როგორ ემზადებიან პასუხსაგები შეხვედრებისთვის ჩვენი ცნობილი ოსტატები: ო. ბლიაძე, თ. მაჭავარიანი, ჯ. მეგრელიშვილი, ო. ტატიშვილი, თ. კიკნაძე, მ. სალაძე და სხვები. დარწმუნებული ვარ, მათ არასდროს დაავიწყდებათ არა მარტო შეჯიბრება, არამედ ჭიდაობის ოსტატთა საწვრთნელი ვარჯიშები და ის კონსულტაციები, რომლებსაც ახალგაზრდები უფროსებისგან იღებდნენ.

ქუთაისი და მახარაძე ყოველთვის ითვლებოდა რესპუბლიკის ნაკრები გუნდისთვის დასაყრდენ ცენტრებად კლასიკურ ჭიდაობაში. ამ ქალაქებმა აღნიშნულ შეჯიბრებაშიც საკმაოდ მომზადებული მოჭიდავეები გამოიყვანეს. ამის გამო ქების მეტი არაფერი გვეთქმის ქუთაისელი მწვრთნელის ჯ. კოსტავას და მახარაძელი ტ. თავართქილაძის მიმართ. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ, თუ ამ ქალაქებს თანამედროვე ტიპის საჭიდაო დარბაზები ექნებათ, რესპუბლიკის ნაკრები კიდევ უფრო მაღალხარისხოვან შევსებას მიიღებს.

გამოვლინდა ბევრი პერსპექტიული მოჭიდავე. მათ შორის დავასახელებთ მხოლოდ რამდენიმეს: გ. მაჭავარიანს, ზ. ყუბუსიძეს, ტ. სხირტლაძეს (ყველა — თბილისი), ო. ბოლქვაძეს (მახარაძე), თ. ღოღონაძეს (ქუთაისი).

ორგანიზატორებმა და მსაჯთა კოლეგიამ კარგი ტექნიკური მომზადებისთვის დააჯილდოვეს რამდენიმე მოჭიდავე, მათ შორის მახარაძელი ი. ზურაბიანიც, რომელმაც ხუთი შეხვედრა ზედიზედ მოიგო, მაგრამ ტრავმის გამო ვერ შეძლო შეჯიბრების გაგრძელება. ტექნიკურ მოჭიდავეებად აღიარეს თბილისელი რ. ასანიძე და ქუთაისელი ნ. შალამბერიძე. კარგი იქნებოდა, რომ მწვრთნელების წასახალისებლადაც დაეწესებინათ დიპლომი ან სიგელი. მართალია, ეს არ მოხდა, მაგრამ ჩვენ მაინც დავასახელებთ იმ მწვრთნელებს, რომლებმაც ამ ტურნირში მომზადებული ჭაბუკები გამოიყვანეს. ესენი არიან: თ. ტუხაშვილი, ვ. ლაფაჩიშვილი, ჯ. ანდღულაძე, დ. დავითაია, გ. გერმესაშვილი, გ. ჯულუხიძე და სხვები.

წონითი კატეგორიების მიხედვით რესპუბლიკის ჩემპიონები გახდნენ: ნ. მამაიაშვილი (რუსთავი), თ. ხატიაშვილი (თბილისი), ნ. შალამბერიძე, ა. ქართველიშვილი (ორივე — ქუთაისი), რ. ინასარიძე, ტ. ფსუტური (ორივე — თბილისი), თ. ხარაიშვილი (რუსთავი), ბ. ხმელიძე (მახარაძე), შ. კუხიანიძე (სოხუმი), ტ. ვეფხვაძე (თბილისი), დ. ყიფიანი (ჭიათურა). გუნდური ადგილები ასე განაწილდა: 1. თბილისი, 2. ქუთაისი, 3. მახარაძე.

**ო. ჩხაიძე,**
სპორტის ოსტატი.

* * *





სურათებზე: ზევით — 75 კგ წონითი კატეგორიის მოჭიდავეთა ბ. ხმელიძისა (მახარაძე) და ა. გოგოჩიშვილის (თბილისი) შეხვედრის მომენტი; ქვევით — I ადგილზე გასული სპორტსმენები (მარცხნიდან, პირველ რიგში): ბ. ხმელიძე, (მახარაძე), შ. კუხიანიძე (სოხუმი), ტ. ვეფხვაძე (თბილისი), დ. ყიფიანი (ჭიათურა), დგანან მარცხნიდან — თ. ხარაიშვილი (რუსთავი), ტ. ფსუტური, რ. ინასარიძე (ორივე — თბილისი), ა. ქართველიშვილი, ნ. შალამბერიძე (ორივე — ქუთაისი), თ. ხატიაშვილი (თბილისი), ნ. მამაიაშვილი (რუსთავი).

თ. ჰეიშვილის ფოტოები.

---

### ✦ ცხაკაია

დამთავრდა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მოჭადრაკეთა გუნდური ტურნირები, რომლებშიც 10 კოლექტივი მონაწილეობდა. თითოეულ გუნდში იყო ორი ვაჟი და ერთი ქალი. კოლმეურნეობათა გუნდების შეჯიბრებაში ყველას აჯობეს ლესაძამელებმა (ჯ. მიქავა, ნ. გოგია, დ. სიგუა). II ადგილი დაიკავა ზანის ჟდანოვის სახელობის კოლმეურნეობის გუნდმა, III — ფოცხოს კოლმეურნეობის ნაკრებმა. საბჭოთა მეურნეობათა გუნდების შეჯიბრებაში I-II ადგილები გაიყვეს ძველი სენაკისა და ახალი სენაკის საბჭოთა მეურნეობათა გუნდებმა. დამატებითს მატჩში ძველი სენაკის წარმომადგენლებმა გაიმარჯვეს (2:1).

**ბ. ბუბუნავა.**

---

# ვის დარჩება თასი?

ხვალ მოსკოვში, სსრ კავშირის ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში, განახლდება ოდესაში დაწყებული ქალთა საკავშირო თასის გათამაშება. ნახევარფინალურ მატჩებში ერთმანეთს შეხვდებიან კ. ზვორიკინა (მინსკი) — მ. ჩიბურდანიძე (თბილისი) და მ. რანიკუ (ტალინი) — ლ. სემიონოვა (კიევი). მეტოქეები ოთხ-ოთხ პარტიას გაითამაშებენ. ამ ორთაბრძოლებში გამარჯვებული მოჭადრაკეები თასისთვის შეებმებიან ერთმანეთს, დამარცხებულები კი ითამაშებენ მატჩს III ადგილისთვის.

თითქოს ბედმა ინება, რომ თასისთვის ბრძოლის დასკვნითს ეტაპზე ერთმანეთს ხვდებიან ოთხი თაობის მოჭადრაკეები: ზვორიკინა, რანიკუ, სემიონოვა და ჩიბურდანიძე.

— ბრძოლა მძაფრი იქნება, — გვითხრა ზვორიკინამ. — ოთხივემ კარგად ვივარჯიშეთ. რანიკუ მონაწილეობდა იუგოსლავიაში გამართულ ევროპის ქვეყნების ჩემპიონ ქალთა თასის გათამაშებაში, სადაც მეორე-მესამე ადგილები გაიყო. მე და ჩემმა ახალგაზრდა კოლეგებმა საკავშირო ჩემპიონატში ვითამაშეთ. შედეგით კმაყოფილი ვარ. ჩემმა მეტოქემ, პატარა მაიამ დიდი გამოცდილება შეიძინა. იგი ახლა უფრო საშიში მოწინააღმდეგეა, ვიდრე ჩემპიონატში მონაწილეობამდე. თანაც, გაიზარდა კიდეც, უკვე 13 წლისაა. ვიცი, რომ ძნელი მატჩი მომელის.

საკავშირო ჩემპიონატში ზვორიკინამ მოუგო ჩიბურდანიძეს. მან კარგად გამოიყენა გოგონას გამოუცდელობა სტრატეგიულ ბრძოლაში, რომელიც თვითონ მოახვია თავს მეტოქეს. ცხადია, თასისთვის გამართულ მატჩში პატარა მაია თავს აარიდებს მსგავს პოზიციებს.

როგორც უნდა ითამაშოს ნორჩმა მოჭადრაკემ, მატჩები შემოქმედებითს ზრდაში დიდ სამსახურს გაუწევს. მაიას მოსკოვში ახლავს თავისი მწვრთნელი, სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი, ოსტატი მ. შიშოვი.

**თ. გიორგაძე.**

* * *



სურათზე: კ. ზვორიკინას და მ. ჩიბურდანიძის შეხვედრა თბილისში, საკავშირო ჩემპიონატში.

მ. ზარგარიანის ფოტო.

---

### ✦ თბილისი

ამიერკავკასიის ოქტომბრის რევოლუციის ორდენოსანი რკინიგზის სამმართველოს საპროექტო-საძიებო ინსტიტუტის მოჭადრაკეებმა ამას წინათ თავიანთი პირველობა გამართეს. ბრძოლაში 17 კაცი მონაწილეობდა. დიდი ოსტატობით ითამაშა ტექნიკურ ნაგებობათა განყოფილების უფროსმა ინჟინერმა, პირველთანრიგოსანმა თ. ბახტაძემ — 15,5, ქულა 16-დან. II-III ადგილები გაიყვეს ინჟინრებმა ქ. გაბარაშვილმა და გ. ბერამელოვმა — 13,5-13,5. IV ადგილზე გავიდა ინსტიტუტის მთავარი არქიტექტორი გ. ჯანიაშვილი, რომელმაც ლამაზი პარტიისთვის საგანგებო პრიზი მოიხვეჭა. ტურნირში პირველ ცხრა ადგილზე გასული მოჭადრაკეები მონაწილეობას მიიღებენ რკინიგზის სამმართველოს ჩემპიონატში.

**ვ. ჟიაურელი,**
ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს ფიზკულტურის საბჭოს წევრი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩემპიონატის ფინიშამდე...

უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ქალთა საკავშირო ჩემპიონატის მონაწილეებს ჩასატარებელი დარჩათ მხოლოდ 6-6 შეხვედრა. სულ ცოტა ხანში თორმეტივე კოლექტივი ერთად შეიკრიბება და დაამთავრებს 1974 წლის ჩემპიონატს.

დღესდღეობით არსებობს სამი გამოკვეთილი ლიდერი — ლენინგრადის „სპარტაკი", სვერდლოვსკის „ურალმაში" და მოსკოვის ოლქის „სპარტაკი". როგორც ცხრილიდან ჩანს, ნევისპირელებს უკეთესი მდგომარეობა აქვთ. მოსკოვის ოლქის „სპარტაკს" ახლა მეტი შანსები აქვს და „ურალმაშის" მსგავსად საპრიზო ადგილებისთვის იბრძვის. მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მას საკმაოდ ძნელი მატჩები დარჩა ჩასატარებელი, მათ შორის, ლენინგრადის „სპარტაკთან", „ურალმაშთან" და მოსკოვის „დინამოსთან".

საკმაოდ დიდი სიმჭიდროვეა სატურნირო ცხრილის ქვედა ნახევარშიც. სამ გუნდს — „სერპ ი მოლოტს", „ბურევესტნიკსა" და „სტროიტელს" 3-3 ქულა აქვთ. ორც მოსკოვის „სპარტაკის" მდგომარეობაა უკეთესი: 4 ქულა ჯერ კიდევ არ იძლევა უმაღლეს ლიგაში დარჩენის გარანტიას.

გთავაზობთ სატურნირო ცხრილს:

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| „სპარტაკი" (ლენ.) | 16 | 14 | 2 | 1035—803 | 14 |
| „ურალმაში" | 16 | 13 | 3 | 983—859 | 13 |
| „სპარტაკი". (მოს. ოლ.) | 16 | 13 | 3 | 1064—1000 | 13 |
| „დინამო" (მოსკოვი) | 16 | 9 | 7 | 1020—901 | 9 |
| „დინ." (კ.) | 16 | 9 | 7 | 1023—976 | 9 |
| „ბურევესტნიკი" (ალმა-ათა) | 16 | 8 | 8 | 978—988 | 8 |
| ტტტ | 15 | 8 | 7 | 914—895 | 8 |
| „კიბირკშ." | 16 | 8 | 8 | 934—955 | 8 |
| „სპარტაკი" (მოსკ.) | 15 | 4 | 11 | 829—903 | 4 |
| „სერპ ი მოლოტი" | 16 | 3 | 13 | 861—991 | 3 |
| „ბურევესტნიკი" (ლენ.) | 16 | 3 | 13 | 852—1025 | 3 |
| „სტროიტ." | 16 | 3 | 13 | 889—1086 | 3 |

# სატურნირო ცხრილს რომ გადავხედოთ...

დღეს მინსკის რადიოტექნიკის ინსტიტუტის გუნდისა და რიგის არმიელთა შეხვედრით განახლდება უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ვაჟთა ჩემპიონატი.

ერთთვიანმა შესვენებამ, რაც გამოწვეული იყო მსოფლიო ჩემპიონატისთვის საბჭოთა ნაკრების მზადებით, გულშემატკივრები დროებით ჩამოაცილა შინაურ საკალათბურთო ამბებს, ამიტომაც ინტერესმოკლებული არ იქნება, თუ გადავხედავთ სატურნირო ცხრილს, გუნდების მდგომარეობასა და შანსებს „შეწყვეტილ პოზიციაში".

გათამაშების ერთპიროვნული ლიდერია ცსკა, რომლის ყველა სატურნირო მაჩვენებელი უპასუხებს ლიდერის მდგომარეობას. არმიელებმა ყველაზე მეტი მატჩი მოიგეს (12), ყველაზე ცოტა წააგეს (1) და ყველაზე აგრესიულად ითამაშეს თავდასხმაში (1191 ბურთი — 13 მატჩში).

ლიდერს 1 ქულით ჩამორჩება მისი მუდმივი მეტოქე და მდევარი — ლენინგრადის „სპარტაკი". ნევისპირელებმა ერთით ნაკლები თამაში მოიგეს და ერთით მეტი წააგეს. მაგრამ 13 ტურის მანძილზე მიღებული ბურთების ჯამი მათ ყველაზე ნაკლები აქვთ და, მაშასადამე, საუკეთესოც. „სპარტაკის" ტრადიციული უპირატესობა მეტოქეებთან შედარებით დაცვის საიმედობაა. ეს ამ ჩემპიონატშიც თვალნათლივ ჩანს.

III საპრიზო ადგილისთვის ბრძოლის ყველაზე მეტ შანსს ჯერჯერობით ტარტუს „კალევი" ინარჩუნებს. ესტონელებს 13 თამაშის შემდეგ 8 ქულა აქვთ. მათ თითო ქულით ჩამორჩებიან მოსკოვის დინამოელები და კიევის „სტროიტელი".

სატურნირო ცხრილში 5-5 ქულით VI-VII ადგილებს იყოფენ თბილისის „დინამო" და მინსკის რტი, მაგრამ ბელორუსიის კალათბურთელთა მდგომარეობა ოდნავ უკეთესია. მათ, ჯერ ერთი, თბილისელებთან შეხვედრა მოიგეს და, მეორეც, დინამოელებზე ერთით ნაკლები მატჩი აქვთ ჩატარებული.

სამ გუნდს — რიგისა და კიევის არმიელებს, აგრეთვე, კაუნასის „ჟალგირისს" 3-3 ქულა აქვთ, მაგრამ ლატვიელებმა მხოლოდ 12 მატჩი ჩაატარეს, მათმა მეტოქეებმა კი — 13-13.

მაშ ასე, 31 იანვარს მთავრდება საკალათბურთო არდადეგები. ამ დღეს ჩატარდება საკავშირო ჩემპიონატის მეორე წრის ერთადერთი, ბოლო შეხვედრა. 3 დღის შემდეგ კი დაიწყება მესამე წრის მატჩები.

## მატჩები თებერვალში

3. „ჟალგირისი" (კაუნასი) — ცსკა, **„დინამო" (თბილისი)** — ასკ (რიგა), ასკ (კიევი) — „სპარტაკი" (ლენინგრადი), რტი (მინსკი) — „დინამო" (მოსკოვი).

5. „სტროიტელი" (კიევი) — „სპარტაკი" (ლენინგრადი).

6 „ჟალგირისი" (კაუნასი) — „დინამო" (მოსკოვი), რტი (მინსკი) — ცსკა, **„დინამო" (თბილისი)** — „კალევი" (ტარტუ).

9. **„დინამო" (თბილისი)—„სპარტაკი" (ლენინგრადი).**

10 ასკ (კიევი) — „სტროიტელი" (კიევი), ასკ (რიგა) — „კალევი" (ტარტუ).

11. „დინამო" (მოსკოვი) — ცსკა.

12. **„დინამო" (თბილისი) — „ჟალგირისი" (კაუნასი).**

16. „კალევი" (ტარტუ) — რტი (მინსკი).

17. ცსკა — „სტროიტელი" (კიევი).

18. ასკ (რიგა) — „ჟალგირისი" (კაუნასი).

19. „სპარტაკი" (ლენინგრადი) — რტი (მინსკი), „დინამო" (მოსკოვი) — „სტროიტელი" (კიევი).

20. ცსკა — ასკ (კიევი).

21. „კალევი" (ტარტუ) — „ჟალგირისი" (კაუნასი).

22. „დინამო" (მოსკოვი) — ასკ (კიევი).

23. **„დინამო" (თბილისი) — „რტი" (მინსკი).**

24. „სპარტაკი" (ლენინგრადი) —„ჟალგირისი" (კაუნასი), „სტროიტელი" (კიევი) — ასკ (რიგა).

26. „კალევი" (ტარტუ)—ცსკა, ასკ (კიევი) — ასკ (რიგა).

27. „სტროიტელი" (კიევი) — **„დინამო" (თბილისი).**

ღვაწლმოსილნი

# დაუღალავ „პოლემიკოსად" ცნობილი აღმზრდელი

ამ 89 წლის წარმოსადეგ მოხუცს ქართველ მოფარიკავეთა ყველა თაობა იცნობს. მას ძალიან ბევრი რამ უნახავს, ბევრი გაუგონია, ბევრი გაუკეთებია, მაგრამ მთელი შეგნებული ცხოვრება პირველ ყოვლისა ფარიკაობასთანაა დაკავშირებული. იგი ფარიკაობაში ეძებდა და პოულობდა სიამოვნებას, მარადიული სიჭაბუკისა და სიცოცხლის დაუშრეტელ წყაროს.

თავის დროზე ისიც სპორტსმენი იყო, ძლიერი და გამოჩენილი სპორტსმენი. რა სახეობას არ მისდევდა, სად არ მოუსინჯავს სიჭაბუკის წლებში ძალა. იყო მძლეოსანი, მსროლელი, მოცურავე, მაგრამ ბოლოს მაინც ფარიკაობას დაუბრუნდა, ფარიკაობა აირჩია. რატომ? ამაზე მას დაუსრულებლად შეუძლია გესაუბროთ, მაგრამ, ვფიქრობთ, ყველაზე კარგად პასუხს გაგცემთ თვით მისი ხანგრძლივი და შინაარსიანი სამწვრთნელო მოღვაწეობა.

ნათქვამია, საქმემან შენმან გამოგაჩინოსო... სწორედ ამ პრინციპით ხელმძღვანელობდა მუდამ ანატოლი ფიოდოროვი. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ანატოლი ფიოდოროვი ერთ-ერთი საუკეთესო მწვრთნელი გახლავთ არა მარტო საქართველოში, არამედ მთელს საბჭოთა კავშირშიც. რამ მოუტანა ამაგდარ აღმზრდელს ასეთი საყოველთაო აღიარება? უპირველეს ყოვლისა, ნიჭიერი ნორჩი მოფარიკავეების აღზრდამ. რაიმე საქმის დაწყება მუდამ ძნელია. ასევე რთულია პატარა ბავშვში აღმოაჩინო მომავალი დიდი სპორტსმენი, გაიგო მისი სულისკვეთება და, როგორც ამბობენ, გზაზე დააყენო. პატივცემულ ანატოლის ამ საქმეში ტოლი არა ჰყავს.

სწორედ ანატოლი ფიოდოროვმა „აღმოაჩინა" ქართული ფარიკაობის გამოჩენილი წარმომადგენლები: რევაზ ცირეკიძე, იური ოსიპოვი, გიორგი გოგელია, გურამ ჯაიანი, იზო ესაიაშვილი, გივი ცაგარელი, გივი ანდრიაძე და მრავალი სხვა, ასწავლა მათ ფარიკაობის ანბანი, დიდ სპორტს აზიარა და შემდგომი დაოსტატებისთვის სხვა მწვრთნელებს „გადაულოცა". ეს გახლავთ შეგნებული და სამართლიანი აღმზრდელის პოზიცია, რისთვისაც ანატოლი ფიოდოროვს არასდროს უღალატია. მან იცის, რა ასაკამდე უნდა ავარჯიშოს ფარიკაობის მომავალი დიდოსტატები, როდის უნდა მიაბაროს ისინი სხვა, „უფროსების" მწვრთნელებს. ეს თვისება სამაგალითოდ უნდა გამოადგეთ მწვრთნელებს, რომლებიც, რაკი ერთხელ აღმოაჩენენ ნიჭიერ მოწაფეს, მერე ვერა და ვეღარ ელევიან მას. მოწაფე კი იზრდება, მისთვის ზოგჯერ აღარაა საკმარისი პირველი მწვრთნელის ერუდიცია, მას უფრო ფართო ასპარეზი სჭირდება. რამდენჯერ ჩაუკლავს გაუმართლებელ ეგოიზმს ამა თუ იმ მოფარიკავეში დიდი სპორტსმენი, რამდენჯერ დაუხშვია მისთვის შემდგომი წინსვლის გზა...

მკითხველი ნუ იფიქრებს, თითქოს ანატოლი ფიოდოროვს არ ძალუძს ბოლომდე მიიყვანოს მოფარიკავის სპორტული დაოსტატება. სრულიადაც არა! ოღონდ მას ურჩევნია გამოზარდოს ფარიკაობის ჯეჯილი, დასაპურებლად კი სხვა კოლეგას მიანდოს. ეს გზა ანატოლის ნახევარი საუკუნის მანძილზე აქვს შემოწმებული და ერთხელაც არ უწვნევია მარცხი.

ერთხელ ანატოლი ფიოდოროვს შესთავაზეს რესპუბლიკის ნაკრებ გუნდს გაჰყოლოდა საკავშირო შეჯიბრებაზე. მწვრთნელმა შორს დაიჭირა ეს წინადადება — ჩემი პატარები ვის ხელში დავტოვოო? მართლაც ანატოლს ვერ წარმოუდგენია, როგორ შეიძლება ნორჩი მოფარიკავეების მიტოვება თუნდაც ერთი დღით. ისინი, ეს ახალბედა სპორტსმენები, მწვრთნელს აგონებენ ყვავილებს, რომლებსაც მებაღემ ყოველდღე უნდა მიხედოს, უპატრონოდ არ დატოვოს. ამიტომ ბავშვები ამ სამართლიან და მკაცრ კაცში მეორე მამას ხედავენ...

ბოლო წლებში ფარიკაობაში თვალსაჩინო ძვრები მოხდა. ბევრმა მწვრთნელმა ახლებურად დაიწყო მუშაობა. ეს კანონზომიერი პროცესია. მაგრამ ახლის ძიებაში ზოგიერთმა პროგრესული სიახლე მცდარი „მოდერნიზმისგან" ვერ გაარჩია. ეს დაემართა იმ ხალხს, ვინც კრიტიკული მიდგომის გარეშე გამოეკიდა ახალ, „ზემოდურ" მიმდინარეობას. ანატოლი ფიოდოროვი სიტყვითაც და საქმითაც იბრძვის ფარიკაობაში ასეთი არასწორი გზის წინააღმდეგ. რა დასამალია, ზოგიერთი მწვრთნელი მას უმართებულოდ, კონსერვატორადაც კი მიიჩნევდა. დრომ დაამტკიცა, რომ მათი პოზიცია არასწორი იყო. ფარიკაობა იმდენად ძველი და ტრადიციული სახეობაა, რომ იგი ვერავითარ შემთხვევაში ვერ აიტანს პრინციპულ მეტამორფოზას. შეიძლება შეიცვალოს მხოლოდ დეტალები, ფარიკაობის არსი კი უცვლელი უნდა დარჩეს. ამაში ღრმად არის დარწმუნებული ანატოლი ფიოდოროვი.

დიდია ანატოლი ფიოდოროვის ავტორიტეტი საფარიკაო სამყაროში, დაუფასებელია მისი ამაგი ქართული და საბჭოთა ფარიკაობის განვითარების საქმეშიც. საფარიკაო წრეებში დაუღალავ „პოლემიკოსად" ცნობილი აღმზრდელი დღესაც ეძებს ახალ გზებს თავისი ნორჩი მუშკეტერების უკეთ დაოსტატებისთვის. მას შეხვდებით ყველგან, სადაც კი მოფარიკავეთა შეჯიბრება იმართება, შეხვდებით თბილისის თეატრალური ინსტიტუტის... სპორტულ დარბაზშიც. დიახ, მრავალი წლის მანძილზე მომავალ მსახიობებს ანატოლი ფიოდოროვი ასწავლიდა საფარიკაო ხელოვნებას. როცა სცენაზე საფარიკაო „ბატალიები" იმართება, იცოდეთ, რომ მსახიობებს შუა საუკუნეების რაინდთა განუყრელი იარაღის ფლობა ამ ამაგდარმა მწვრთნელმა ასწავლა.



საბჭოთა კავშირის დამსახურებულ მწვრთნელს, ვიმეორებ 89 წლის კაცს დღესაც ხშირად ნახავთ თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის საფარიკაო დარბაზში. აქ მისი ხელმძღვანელობით იზრდებიან მომავალი ცირეკიძეები და ოსიპოვები.

ანატოლი ფიოდოროვი ფარიკაობაში ეძიებს და პოულობს სიამოვნებას, მარადიული სიჭაბუკისა და სიცოცხლის დაუშრეტელ წყაროს.

**ა. გოგელია,**
**სპორტის ოსტატი.**



თბილისის სატელეგრაფო აპარატურის ქარხანაში დიდ ყურადღებას ეთმობა ფიზკულტურასა და სპორტს. ნაყოფიერად საქმიანობენ სპორტის სხვადასხვა სახეობის სექციები. საწარმოში განსაკუთრებული მოწონება აქვს საწარმოო ტანვარჯიშს, რომელიც აქ მასობრივადაა დანერგილი.

ს უ რ ა თ ზ ე: 21-ე კომკავშირულ-ახალგაზრდული საამქროს მუშები საწარმოო ტანვარჯიშის შესრულებისას. ვარჯიშს ხელმძღვანელობს ფიზკულტურის მეთოდისტი ტ. ოსიპოვა.

მ. ზარგარიანის ფოტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ობიექტივში მსოფლიო

- მეგობრული შეხვედრა
- სახსოვრად...
- ბრიგსის დაჯილდოება



ჩეხოსლოვაკია — საბჭოთა კავშირის მეგობრული ურთიერთობის საზოგადოებისა და ჩეხოსლოვაკიის ფიზიკური აღზრდის კავშირის მიწვევით ამას წინათ ამ ქვეყანაში სტუმრად იყო მსოფლიოს ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო მეკარე ლევ იაშინი. ოფიციალურ მიღებებთან ერთად იაშინი მონაწილეობდა საუბრებში, ხვდებოდა თავის კოლეგებს — ძველი და ახალი თაობის წარმომადგენლებს. სურათზე აღბეჭდილი არიან (მარცხნიდან): ლევ იაშინი, ვაცლავ პავლი, ფრანტიშეკ პლანიჩკა და ივო ვიქტორი.

მიუნხენს არ ავიწყდება დიდი სპორტული მოვლენის — ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის გამოყენება სავაჭრო მიზნით. საამისოდ მას კარგი სკოლა აქვს გავლილი ოლიმპიური თამაშების სახით. მიუნხენში უკვე გამოუშვეს ფეხბურთში 1974 წლის მსოფლიო პირველობის სამახსოვრო მედლები — ოქროსი და ვერცხლისა. მედლების ერთ მხარეზე გამოსახულია მიუნხენის ხედი, ხოლო მეორეზე — ფეხბურთელის ფიგურა ოლიმპიური სტადიონის ფონზე.






სურათზე თქვენ ხედავთ მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო ავტომრბოლელს, ინგლისელ ბერი ბრიგსს მეუღლითა და ორი ვაჟით (11 წლის ტონითა და 13 წლის ჰარით). სურათი გადაღებულია მას შემდეგ, რაც ბერიმ მრავალი წლის მანძილზე წარმატებებისთვის ინგლისის დედოფლისგან მიიღო ბრიტანეთის იმპერიის ორდენი.

PRZEGLAD SPORTOWY · Sport · SPORTSKE NOVOSTI · Népsport · Sportowiec · Советский спорт

### იუგოსლაველთა ხელმძღვანელობით

მსოფლიო ჩემპიონატის 2 დებიუტანტს — ავსტრალიისა და ზაირის ნაკრებ გუნდებს, როგორც ცნობილია, უცხოელი სპეციალისტები უდგანან სათავეში. ავსტრალიელებს იუგოსლაველი რაშიჩი, ზაირის გუნდს — ასევე იუგოსლაველი ვიდინიჩი.

თითქოს პირი შეკრესო, ორივე მწვრთნელმა განაცხადა, რომ მათი გუნდების წინასწარი შეკრება გაიმართება იუგოსლავიაში, მაგრამ თუ იუგოსლაველები თვითონ გავლენ ფინალში, ამ ქვეყანაში ვარჯიში უკვე უხერხული იქნება. ამიტომ რაშიჩი და ვიდინიჩი ამ შემთხვევაში შეკრებას ავსტრიაში მოაწყობენ.

### ერიქსონის გეგმები

შვეციის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა გ. ერიქსონმა პრესის წარმომადგენლებს განუცხადა, რომ თებერვლის მიწურულში მოთამაშეებს თავს მოუყრის სირაკუზში (იტალია). აქ შვედებს არ ეყოლებათ მხოლოდ ის პროფესიონალები, რომლებიც უცხოეთის სხვადასხვა კლუბში გამოდიან. ერიქსონს განზრახული აქვს რამდენიმე შეხვედრა მოაწყოს იტალიის საკლუბო გუნდებთან. დაგეგმილია, აგრეთვე, შვედების მონაწილეობა საერთაშორისო ტურნირებში, რომლებიც იაპონიასა და კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში მოეწყობა.

მზადების დასკვნით ფაზაში შვეციის ეროვნული ნაკრები 2 საერთაშორისო ამხანაგურ მატჩს გამართავს: 1 მაისს — გფრ-ის ნაკრებთან ჰამბურგში და 3 ივნისს — დანიის ნაკრებთან კოპენჰაგენში.

### ბულგარელები ემზადებიან

ბულგარეთის ეროვნული ნაკრების მწვრთნელმა ხ. მლადენოვმა განაცხადა, უკვე მოვუყარე თავი 18 რჩეულ ფეხბურთელს, რომლებთანაც მსოფლიო პირველობისთვის მზადება დავიწყეო. რაც შეეხება ნაკრების დანარჩენ კანდიდატებს, ისინი თავიანთ საკლუბო გუნდებში მოემზადებიან.

6 თებერვალს ბულგარეთის ნაკრები შეხვდება საბერძნეთის ერთ-ერთ საკლუბო გუნდს, 7 თებერვალს კი გაფრინდება კუვეიტში, სადაც რამდენიმე ამხანაგურ შეხვედრას გამართავს.

### ვარჰიდი — „დოზას“ სათავეში

„დოზას“ (უიპეშტი) მთავარ მწვრთნელად დაინიშნა წარსულში უნგრეთის ნაკრების ცნობილი მოთამაშე პ. ვარჰიდი.

ბოლო წლებში ვარჰიდი უნგრეთის I და II ლიგების სხვადასხვა კლუბის მწვრთნელი იყო.

### „დუკლას“ გამარჯვება

ჯაკარტაში (ინდონეზია) გაიმართა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც ადგილობრივ გუნდებთან ერთად მონაწილეობა მიიღეს „დუკლამ“ (პრაღა) და ოფკ-მ (ბელგრადი).

როგორც მოსალოდნელი იყო, ევროპული გუნდები ადგილობრივებზე უფრო ძლიერნი აღმოჩნდნენ და ფინალშიც გავიდნენ. ფინალური მატჩი მოიგო „დუკლამ“ — 2:0.

მსოფლიოს ფეხბურთის ამბები

### 14 წლის შემდეგ

14 წელი ხელმძღვანელობდა ცნობილი მწვრთნელი მ. მუნოზი მადრიდის „რეალს“ და ამ ფრიად ხანგრძლივი დროის მანძილზე არაერთ წარმატებას მიაღწია. „რეალი“ ერთ-ერთ უძლიერეს გუნდად ითვლებოდა ევროპაში.

მაგრამ გუნდს მძიმე დღეები დაუდგა. ვინ არის ამაში დამნაშავე? კლუბის დირექტორატის აზრით, მხოლოდ და მხოლოდ მწვრთნელი. ამიტომ მუნოზს „რეალის“ დატოვება მოუხდა. მის ნაცვლად მთავარ მწვრთნელად დაინიშნა ლ. მოლოვნი, რომელიც აქამდე აქვე მუშაობდა ახალგაზრდულ შემადგენლობასთან.

# სსრ კავშირი — აშშ 14:4

ხვალ თბილისის სპორტის სასახლეში იწყება ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში. ასპარეზობამ, რომელსაც 1962 წლიდან მოყოლებული ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაცია რეგულარულად ატარებს ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქში, დიდი პოპულარობა მოიპოვა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. ამიტომაც არის, რომ შეჯიბრებაში მონაწილეობის სურვილი განაცხადეს ბულგარეთის, გდრ-ის, ირანის, მონგოლეთის, პოლონეთის, რუმინეთის, თურქეთის, იაპონიის, აშშ-სა და სხვა სახელმწიფოების უძლიერესმა ათლეტებმა. თბილისის ტრადიციულ ტურნირს თავისუფლად შეიძლება ვუწოდოთ მსოფლიოს მცირე ჩემპიონატი, ვინაიდან იგი თავს უყრის ჩვენი პლანეტის ყველა „საჭიდაო“ ქვეყნის წარმომადგენლებს.

უკვე რამდენიმე დღეა საბჭოთა კავშირში სტუმრად იმყოფებიან აშშ-ს მოჭიდავეები. გუშინწინ მათ მოსკოვში ამხანაგური შეხვედრა გამართეს სსრ კავშირის ნაკრებთან. მასპინძლებმა დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვეს — 14:4.

საბჭოთა ნაკრების წევრებიდან განსაკუთრებით კარგი შთაბეჭდილება დატოვეს: ოლიმპიურმა ჩემპიონებმა — მოსკოველმა რ. დმიტრიევმა, მახაჩყალელმა ზ. აბდულბეკოვმა, კრასნოიარსკელმა ი. იარიგინმა, მსოფლიო ჩემპიონმა, ორჯონიკიძელმა ს. ანდიევმა და სხვ.

ამერიკელი მოჭიდავეები, როგორც უკვე ვთქვით, მონაწილეობას მიიღებენ თბილისის საერთაშორისო ტურნირში, ამას გარდა, იასპარეზებენ კიევსა და მინსკში.

# გაიმარჯვეს კვეშეთის მოსწავლეებმა

ამას წინათ მლეთაში გაიმართა დუშეთის რაიონის ზამთრის სპარტაკიადა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო კოლმეურნეობებისა და სკოლების ათმა გუნდმა.

ვაჟებში 15 კილომეტრზე რბენაში I-II ადგილები გაიყვეს მლეთელმა კოლმეურნემ ფ. კობაიძემ და კვეშეთის საშუალო სკოლის მოსწავლემ გ. ბუჩუკურმა, III ადგილი გ. ბურდულმა (მლეთის კოლმეურნეობა) დაისაკუთრა.

ქალთა შორის 10 კილომეტრზე რბენაში პირველი ადგილი დაიკავა კვეშეთის საშუალო სკოლის მოსწავლემ შ. შარმაიძემ. II-III ადგილებზე გამოვიდნენ ნ. ბურდული და მ. ჯალმაიძე.

ვაჟთა ამანათრბენი (3×5) მოიგო მლეთის კოლმეურნეობის გუნდმა. II ადგილი დაიკავა კვეშეთის, ხოლო III მაღაროსკარის საშუალო სკოლების გუნდებმა.

ქალთა ამანათრბენში (3×5) ყველას აჯობა კვეშეთის სკოლის გუნდმა. II იყო მლეთის კოლმეურნეობა, III — კაიშაურების რვაწლიანი სკოლა.

სწრაფდაშვებაში გაიმარჯვეს კვეშეთის საშუალო სკოლის მოსწავლეებმა.

სპარტაკიადის საერთო გუნდურ ჩათვლაში I ადგილზე გამოვიდა და თასი მოიპოვა კვეშეთის საშუალო სკოლის გუნდმა. II ადგილზეა მლეთის კოლმეურნეობა, III — მაღაროსკარის კოლმეურნეობა.

შეჯიბრების შედეგებით დაკომპლექტდა რაიონის ნაკრები გუნდი, რომელიც მონაწილეობას მიიღებს ზამთრის მესამე რესპუბლიკურ სპარტაკიადაში.

ზ. სიანიძე.

დუშეთი.

WM 74

### ტრიბუნები გადაკეთდება

მსოფლიო ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტი განიხილავს მიუნხენის ოლიმპიური სტადიონის ტრიბუნების გაფართოების საკითხს. ზოგიერთი ადგილიდან მინდორი ცუდად ჩანს, ზოგი ლოჟა უხერხულადაა განლაგებული.

ყოველივე ამასთან დაკავშირებით ოლიმპიურ სტადიონზე დამატებითი სამუშაოები ჩატარდება.

### მწვრთნელების დასახმარებლად

სსრ კავშირის სპორტკომიტეტმა გასული წლის დამლევს გამოსცა ბრძანება „მოცურავეთა მწვრთნელების საკავშირო კონკურსის ჩატარების შესახებ“, რომელიც მიზნად ისახავს სპორტის ამ სახეობაში მწვრთნელთა პედაგოგიური ოსტატობისა და საერთო კვალიფიკაციის ამაღლებას.

სპორტსაზოგადოება „განთიადის“ ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმმა განიხილა ეს ბრძანება და დასახა კონკრეტული ღონისძიებანი ცურვის შემდგომი განვითარების, კერძოდ, მწვრთნელთა მომზადების დონის ამაღლებისთვის.

წლევანდლიდან მოყოლებული, ყოველწლიურად მოეწყობა ამ სახეობაში „განთიადის“ მწვრთნელთა რესპუბლიკური კონკურსი, სპორტსაზოგადოების ყველა საბჭომ ყოველი წლის 25 დეკემბრისთვის ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმში უნდა წარადგინოს ანგარიშები კონკურსის მონაწილე მწვრთნელთა მუშაობის შესახებ.

რესპუბლიკურ კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ სპორტსაზოგადოების იმ მწვრთნელებს, რომლებიც მუშაობენ ფიზიკური კულტურის კოლექტივებში, სპორტკლუბებში, სპორტსკოლებში და მოამზადებენ საერთაშორისო, საკავშირო, რესპუბლიკურ შეჯიბრებათა პრიზიორებს როგორც უფროსთა, ისე ბავშვთა შორის.

კონკურსის შედეგები განისაზღვრება სპეციალური ცხრილის მიხედვით. „განთიადის“ 10 საუკეთესო მწვრთნელი დაჯილდოვდება სპორტსაზოგადოების საპატიო სიგელებით, ამას გარდა, ისინი გამოცდილების გამდიდრების მიზნით გაიგზავნებიან დიდ საკავშირო და საერთაშორისო შეჯიბრებებზე.

### მწვრთნელთა საყურადღებოდ

1 თებერვალს, დღის 11 საათზე, თბილისის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტში (კონსტიტუციის ქ. № 6) დანიშნულია ქალაქის საფეხბურთო გათამაშებაში მონაწილე I და II ჯგუფების გუნდების მწვრთნელთა თათბირი. დღის წესრიგშია თბილისის ახალი საფეხბურთო სეზონის ჩატარების საკითხი.

მწვრთნელთა დასწრება სავალდებულოა.

**თბილისის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდიუმი.**

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 04423